ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ბიზნეს აკადემია -SBA

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

დაწესებულების სურვილია განახორციელოს:

- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ბარბარე გონაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მარინა გედევანიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

II. დაწესებულების მისია

„SBA არის განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამებს.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ხელი შევუწყოთ სტუდენტების მიერ ყველა იმ ცოდნისა და უნარების დაუფლებას და ღირებულებათა ჩამოყალიბებას, რაც მათ მისცემს წარმატებით დასაქმების საშუალებას როგორც შიგა, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ჩვენ გვჯერა, რომ ამ გზით ხელს შევუწყობთ ინდივიდის და საზოგადოების განვითარებას.

ჩვენ ძირითადად ორიენტირებულნი ვართ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე. ჩვენი უმთავრესი მიზანია, გამოვიყენოთ არსებული პოტენციალი საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურეობის გასაწევად, ხელი შევუწყოთ პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, განათლების მიღების შესაძლებლობას ნებისმიერი, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის, აგრეთვე მთელი სიცოცხლის მანძილზე ფორმალური და არაფორმალური სწავლების სისტემის დანერგვას და სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისებას.

ჩვენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვდებთ სასიამოვნო და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნაში, მჭიდრო კონტაქტებს ვამყარებთ პოტენციურ დამსაქმებლებთან, რათა სტუდენტებს შევთავაზოთ მაქსიმალურად კეთილგანწყობილი და კონკურენტუნარიანი მომსახურება".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

საქართველოს ბიზნესის აკადემიამ 2013 წლის 12 დეკემბერს გაიარა ავტორიზაცია (გადაწყვეტილება N31) და მოიპოვა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება: საბაჟო საქმის სპეციალისტი/საბაჟო საქმე (65 პროფესიული სტუდენტი), უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებელი (50 პროფესიული სტუდენტი), ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (100 პროფესიული სტუდენტი), სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი (60 პროფესიული სტუდენტი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის კოლეგიალური ორგანოს (სენატის) 2017 წლის 8 სექტემბრის N03 საოქმო გადაწყვეტილებით (ოქმი N03, 8.09.2017) შემცირდა ადგილების რაოდენობა კონკრეტულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: საბაჟო საქმის სპეციალისტი/საბაჟო საქმე (50 პროფესიული სტუდენტი), უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებელი (20 პროფესიული სტუდენტი), ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (30 პროფესიული სტუდენტი), სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი (20 პროფესიული სტუდენტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

2017 წლის 29 ნოემბერს დაწესებულებამ თხოვნით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს 2 მოდულური პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით. ეს პროგრამებია: ტურიზმი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი- 60 პროფესიული სტუდენტი) და ფინანსები (საფინანსო სერვისები - 50 პროფესიული სტუდენტი).

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედი-ტების რაოდე-ნობა	მისაღებ სტუდენტ თა რაოდენობ ა (კვოტა)	პროგრამის განხორციელები ს ადგილი
1.	ტურიზმი	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	115	60	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22
2.	ფინანსები	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში	55	50	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22

ვიზიტის პერიოდში ექსსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ორივე პროგრამა, რომლებიც მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2017 წლი 16 ოქტომბერს და დამტკიცებულია ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2017 წლის 17 ოქტომბერს (გამოცემულია ბრძანება N117).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში განსაზღვრულია მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამის მოცულობა კრედიტებში. წარმოდგენილია, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი - ზოგადი, სავალდებულო პროფესიული და არჩევითი მოდულები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

პროგრამაში ასევე გაწერილია ინფორმაცია ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს თან ერთვის შესაბამისი მოდულები, სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ (სახელი, გვარი, მოდული, რომელსაც ახორციელებს, კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება).

როგორც „ტურიზმის (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი)" -ის , ასევე „ფინანსების (საფინანსო სერვისები)"-ის მოდულური პროგრამის შესაბამისი მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმაში, რომელიც ძირითადად შედგენილია მოდულების წინაპირობისა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა განსხვავებულია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.

„ტურიზმისთვის (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი)" მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის განისაზღვრება 115 კრედიტით, ხოლო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 21 სასწავლო თვე. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 145 კრედიტია, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა კი არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 27 სასწავლო თვე. რაც შეეხება „ფინანსებს (საფინანსო სერვისებს)", აქ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 55 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 4. ჩარჩო დოკუმენტით პრაქტიკის საერთო ხვედრითი წილი შეადგენს 80 %-ს, ხოლო თეორიისა - 20 %-ს.

ფინანსების (საფინანსო სერვისების) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 70 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 31, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 4. ჩარჩო დოკუმენტით პრაქტიკის საერთო ხვედრითი წილი შეადგენს 80 %-ს, ხოლო თეორიისა - 20 %-ს.

პროგრამებში განმარტებულია III და V კვალიფიკაციის მფლობელის შესაძლო უნარები:

III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადექვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს, სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოდულების პარალელურ რეჟიმში სწავლებას.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბიზნეს აკადემია -SBA თანამშრომლობს რამდენიმე მსხვილ ორგანიზაციასთან. ესენია: შპს „ახალი ტალღა", შპს „არსი", შპს „ქართულ-ევროპული აკადემია", „შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი",შპს „ალტა სოფთვეარი", შპს „კონკორდ თრეველი", შპს „ერენდელ თრეველი", სს „კორსტანდარტ ბანკი"(ამჟამად სს „ტერაბანკი"), შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია", სს „გუდვილი", შპს „დანიდე", შპს „იკო & გიო". ყველა მათგანთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის ხანგრძლივობასთან.

რამდენიმე მათგანში განხორციელდა ადგილზე ვიზიტი. კერძოდ: შპს „გუდვილში " და შპს „კონკორდ თრეველი"-ში. ორგანიზაციების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებები უზრუნველყოფილნი არიან მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობებით და შესაბამისი მატერიალური ბაზით. ასევე პერსონალი სრულ მზაობას ადასტურებს სტუდენტებისთვის შესაბამისი გამოცდილების გასაზიარებლად. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ადგილზე, სადაც პროფესიულ სტუდენტებს მოუწევთ სწავლა, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მუშაობის უსაფრთხოების წესები, პირადი ჰიგიენის და სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის ნორმები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ტურიზმი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი)	მეხუთე საფეხური	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	115
2	ფინანსები (საფინანსო სერვისები)	მესამე საფეხური	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში	*55*

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დებულებით, მუხლები - 5^1.15 „ბ“ ქვეპუნქტი, 7.2 „ლ^2“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ტურიზმი“ ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ფინანსები” ;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით, მუხლი 8. - 1.1;
- პროფ. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2011 წლის 27 ივნისის N 027 ბრძანებით, შესულია ცვლილებები რექტორის 2012

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

წლის 29 მარტის N 033 ბრძანებით, შესულია ცვლილებები რექტორის 2015 წლის 17 ივნისის N059 ბრძანებით, შესულია ცვლილებები რექტორის 2015 წლის 5 აგვისტოს N 081 ბრძანებით);

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის პროფესიული განათლების დეპარტამენტის სხდომის ოქმებით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის პროფესიული განათლების დეპარტამენტის სხდომის ოქმებით N 003, N004, N006, N007;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის სენატის საოქმო გადაწყვეტილებებით.

<u>ქვესტანდარტი 1.1. არ არის დარღვეული.</u>

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების ქართული და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

კატალოგი არის მრავალფეროვანი და ინფორმაციული. მასში სრულყოფილადაა აღწერილი კოლეჯის მუშაობის სტრუქტურა, ღირებულებები, ადმინისტრაციული სტრუქტურა, როგორც ბაკალავრიატის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგარმები, სტუდენტური თვითმართველობა და სხვა აქტივობები.

კატალოგი ატვირთულია საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

- კატალოგით, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ბიზნეს აკადემია -SBA -ის ვებ გვერდზე: www.sba.edu.ge

ქვესტანდარტი 1.2. არ არის დარღვეული.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

შეფასება:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „ტურიზმი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი)" და „ფინანსები (საფინანსო სერვისები)" - სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს: (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი)"- 10102-პ; ფინანსები (საფინანსო სერვისები)– 04117-პ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია პროფესიული კრედიტების შესაბამისად. მათში განსაზღვრულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, მიზნები, დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, კვალიფიკაცია. პროგრამები მოიცავს ქართული ენის სწავლებისა და ცოდნის დადასტურების მიდგომებს, შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესებს და პირობებს. პროგრამებს სრულად ახლავს დანართების პაკეტი: მოდულები, სასწავლო გეგმები და ინფორმაცია განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

დასტურდება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ტურიზმი" ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ფინანსები" ;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნაით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

<u>ქვესტანდარტი 1.3. არ არის დარღვეული.</u>

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა მარეგულირებელი დოკუმენტები. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA-ის -ის წესდებიდან ამონარიდი, მუხლი 48-66 -ით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და სტატუსის შეწყვეტის წესი. სამართლებრივი აქტით მიღებულია სტუდენტის მობილობის, პროფესიული განათლებისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით, მუხლი 48-66 .

<u>ქვესტანდარტი 1.4 არ არის დარღვეული</u>

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის წესდების თანახმად, (ამონარიდი, მუხლი 67-74) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმი:

ა) სტუდენტთა მობილობის პროცესის ხელშეწყობა. ასეთ შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ საგანმანათლებლო პროცესებს.

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე დაწესებულებაში, იმავე მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ პროგრამაზე გადასვლა შიდა მობილობის წესით.

გ) წინა პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საქართველოს ბიზნეს აკადემიას (SBA) გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს კერძო კოლეჯებთან:

1. ააიპ საქართველოს საქართველოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი;
2. შპს „არსი“-პროფესიული კოლეჯი;
3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“;
4. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი;
5. საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“;
6. შპს ქართულ-ევროპული აკადემია“;
7. შპს „ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი“;
8. შპს ირაკლი ფაღავას სახ.აკადემია „დასტაქარი“;
9. შპს მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონი“;
10. შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა“;
11. შპს „ილია“-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება;
12. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N1სამედიცინო სასწავლებელი;
13. შპს „ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი“;
14. შპს „ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯი;
15. შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი“ ეკოლოგია და დიზაინი;
16. კოლეჯი „ბარაკონი“;
17. საზოგადოებრივი კოლეჯი „აღმაშენებელი“;
18. სასწავლო უნივერსიტეტი „მასკი“ს პროფესიული კოლეჯი;
19. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

20.შპს „ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი“;
21.შპს ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯი;
22.შპს ინტერბიზნესის აკადემია;
23.საზოგადოებრივი კოლეჯი “ხელოვნების და მეცნიერების აკადემია“;
24.საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“;
25.შპს „ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიურიკოლეჯი“;
26. შპს მ/დ საზოგადოებრივი კოლეჯი მედიკ-ფორტე;
27.შპს ცხუმ -ეგრისის პროფესიული კოლეჯი;
28.ააპ ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯი;
29.საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით, მუხლი 67-74 ;
- პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

<u>ქვესტანდარტი 1.5 არ არის დარღვეული</u>

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი როგორც აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები, ასევე დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. დაწესებულება მუდმივად ახდენს მატერიალური და ადამიანური რესურსების ხარისხის შეფასებას, რომლის შედეგებსაც იყენებს მათი შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

აკადემიური პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლის შეფასებას; ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას; საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას; სტუდენტთა სერვისების ეფექტიანობის შეფასებას; სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანობის შეფასებას; მენეჯმენტის და თვითშეფასების ხარისხის შეფასებას.

პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურებს წარმართავს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგებს წარუდგენს რექტორს. შეფასების შედეგები განიხილება სენატის სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილებითაც პროგრამის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროების შემთხვევაში მტკიცდება მოქმედებათა კონკრეტული გეგმა.

ხარისხის მართვის სამსახური პროგრამების შეფასების პროცესში ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმებით, რაც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. სამსახური განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი პროგრამა აკადემიის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს და ამის საფუძველზე იძლევა დადებით ან უარყოფით დასკვნას. ამასთან, უარყოფითი დასკვნაში უნდა მიეთითოს, რომელი კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა პროგრამამ, რაც თავის მხრივ, შემდგომში პროგრამის სრულყოფის საფუძველი გახდება.

ხარისხის მართვის სამსახური ასევე ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას, რისთვისაც იყენებს სათანადო კითხვარს.

პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვასაც, ვინაიდან მათი აზრი პროგრამის შესახებ მნიშვნელოვანია.

პროგრამის შეფასებისთვის ხარისხის მართვის სამსახური იყენებს პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმას, ვინაიდან დამსაქმებელი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე (შემუშავება, განხორციელება, შეფასება, სრულყოფა).

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება რამდენიმე კრიტერიუმით:

პროგრამის აქტუალობა, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, გამოყენებული მასალა, ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის ხანგრძლივობა, განხორციელების პირობები, სტუდენტთა ჩარიცხვის წესი, სწავლის შედეგები, პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის დაფინანსება, ადამიანური რესურსების შეფასება,მატერიალური რესურსები, კურსდამთავრებულთა დასაქმება.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების დამუშავება, გაანალიზება, შეფასება და მიღებული შედეგების შენარჩუნების ან გაუმჯობესების გეგმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

შემუშავება. მიღებულ შედეგებს უნივერსიტეტის იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლადაც.

საგულისხმოა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ჩართულია დაწესებულების ყველა რგოლი. ამისთვის არსებობს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსი. SBA -ს ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე, შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. გარდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს როგორც ადამიანური რესურსის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემა, ასევე სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს (პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით), პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას;

გარდა ამისა, აკადემიაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, აკადემიამ წარმატებით განხორციელა ხარისხის მართვის „სრულყოფის მოდელის" პროექტები და 2015 წელს მას ევროპული ხარისხის ნიშნის სერტიფიკატი გადაეცა.

საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს აკადემიის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. SBA ასვეე, ახორციელებს გაცვლით პროგრამებს ერასმუს მუნდუსის (Erasmus Mundus) პროგრამის ფარგლებში, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისწავლონ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-მ მონაწილეობა მიიღო ბრენდირების პროცესში. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ვარსკვლავების მინიჭებას. ვარსკვლავთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს ხუთს. საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA-მ ორგზის დააკმაყოფილა ბრენდირების ყველა კრიტერიუმი და მიენიჭა ხუთი ვარსკვლავი.

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA 2014 წლიდან ჩართულია EFQM (European Foundation for Quality Managment) – ხარისხის მართვის ევროპულ ფონდში. EFQM - ხარისხის მართვის ევროპული ფონდი, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 1987 წელს დაარსდა 14 წამყვანი ევროპული კომპანიის მიერ: Bosh, BT Bull Ciba-Geigy, Dassault, Electrolix, Fiat, KLM, Nestle, Olivetti, Philips, Renault, Sulzer, Volkswagen

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემიის „ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქციით"და ხარისხის მართვის მექანიზმებით;
- დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით.

<u>ქვესტანდარტი 1.6 არ არის დარღვეული</u>

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

შპს "საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA" - (ID ნომერი 406037550) მდებარეობს ქ.თბილისში, 0114, რუსთავის გზატკეცილი N18-22. დაწესებულება განთავსებულია 3 სართულიან შენობაში საერთო ფართით 1990.54 კვ.მ. (მათ შორის შენობა N1-დან N8-ის ჩათვლით - I სართული ფართით 1005.67 კვ.მ. შენობა N1, N2, N3, N5 და N6 -ის მეორე სართული ფართით 849.24 კვ.მ. შენობა N2-ის მესამე სართული ფართით 135.კვ.მ.). სასწავლო აუდიტორიები გამიჯნულია საბაკალავრო და პროფესიული სწავლების მიზნებისთვის. აუდიტორიები: N105,108,114,115,116,118,119,121,201 და 205 გამოყოფილია საბაკალავრო პროგრამის, ხოლო N117, 202, 203, 204, 206, 207 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. დაწესებულებაში არის ასევე ფართი, რომელიც ორივე პროგრამისთვის არის გათვალისწინებული:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

კომპიუტერული 2 ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო სამსახურის კაბინეტი, საპროფესორო, უცხოური ენის ლაბორატორია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მოსასვენებელი ოთახი, საპროფესორო კაფეტერია და ა.შ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22	საერთო ფართი 1990.54 კვ.მ. (მათ შორის შენობა N1-დან N8-ის ჩათვლით - I სართული ფართით 1005.67 კვ.მ. შენობა N1, N2, N3, N5 და N6 -ის მეორე სართული ფართით 849.24 კვ.მ. შენობა N2-ის მესამე სართული ფართით 135.კვ.მ.).

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი რესურსით.

შპს "საქართველოს ბიზნესის აკადემიის წესდების მე-9 მუხლისა და დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ო²-ის საფუძველზე დამტკიცდა როგორც საბაკალავრო პროგრამის, ასევე პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყენებული საერთო მატერიალური რესურსის ნუსხა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის გამოყენებულია 6 აუდიტორია, რომლის საერთო ფართია 256,13 კვ.მ. აუდიტორიებში განთავსებულია 190 ორადგილიანი სასწავლო მაგიდა, შესაბამისი რაოდენობის სკამებით. ყველა აუდიტორიაში განთავსებულია დაფები, ციფრული პროექტორები. აუდიტორიები გამიჯნულია პროგრამების მიხედვით და მათში განთავსებულია ამ პროგრამებისთვის განკუთვნილი ინვენტარი. პროგრამა -ტურიზმის განსახორციელებელი ოთახი აღჭურვილია რუკებით, კარავით, სამედიცინო ჩანთით, ღვინის ყველა ტიპის ჭურჭლით, ღვინის ნაირსახეობებით, დეგუსტაციის ინვენტარით, გლობუსით, დეკანტერით, ვიზუალური თვალსაჩინოებებით და ა.შ.

პროგრამა - ფინანსებისთვის (საფინანსო სერვიზები) გამოყოფილ აუდიტორიაში განთავსებულია მოლარის სამუშაო მაგიდა, სალარო, ფულის დამთვლელი აპარატი, ფულის ნამდვილობის დამადასტურებელი ულტრაიისფერი დეტექტორი, საინკასაციო ჩანთები, დასალუქი საშუალებები, ფულის მულაჟები, ლუპები, გამომთვლელი მანქანები და ა.შ. დაწესებულებას აქვს საბანკო პროგრამა "ალტა", რომელიც ყველა კომპიუტერშია ჩატვირთული. შესაბამისი ინვენტარით არის აღჭურვილი ყველა იმ პროგრამის კაბინეტი, რომლებსაც სასწავლებელი ახორციელებს.

დასტურდება:

- შესყიდვების აქტებით;
- სასაქანლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

<u>ქვესტანდარტი 2.1 არ არის დარღვეული</u>

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით და ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებას აქვს დენის გენერატორი. ყველა ოთახი ნათელია, სველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

წერტილები მოწესრიგებულია და მათში დაცულია სანიტარული ნორმები. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს "თელასთან" და შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისთან".

დასტურდება:

- გადახდის ქვითრებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

<u>ქვესტანდარტი 2.2 არ არის დარღვეული</u>

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია წიგნადი ფონდი (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი და ელექტრონული ვერსიები - საერთო რაოდენობა 2877).

ბიბლიოთეკაში არის სასწავლო-მეთოდური და სილაბუსებში მითითებული სავალდებულო თუ დამხმარე ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოების სახით.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი და სხვადასხვა სასწავლო მასალა შეესაბამება „ტურიზმის“ და „ფინანსების (საფინანსო სერვისები)“ მოდულური პროგრამების მოდულებით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოებს და დამხმარე ლიტერატურას.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველო დარბაზში. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და შექმნილია ანბანური კატალოგი. წიგნების ელექტრონული ვერსიები ჩაწერილია CD დისკებზე და ასევე ინახება ამობეჭდილი სახითაც. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის ელექტრონული ვერსია განთავსებულია კოლეჯის ვებ–გვერდზეც.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 5 კომპიუტერი, რომლებზეც ჩატვირთულია წიგნების ელექტრონული ვერსიები. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის ელექტრონული ვერსია განთავსებულია კოლეჯის ვებ–გვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

აკადემია დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – **eIFL",** მონაწილეთა კონსორციუმის წევრად, რის გამოც უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა და მინიჭებული აქვს უფლება, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

EBSCO Publishing; Cambridge Journals Online; Bioone Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Development Studies Journals and Development Studies e-books; ImechE Journals; New England Journal of Medicine; Royal Society Journals Collection; SAGE Premier.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით, მუხლი 79-85;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმით";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსებით";
- საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნების ჩანაწერებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობისა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის წესით;
- საბიბლიოთეკო ანბანური კატალოგით;
- საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ქვესტანდარტი 2.3 არ არის დარღვეული

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სააქციო საზოგადოებასთან "გლობალ ერთი". შენობაში ფუნქციონირებს უკაბელო შიდა ქსელი (Wifi). კოლეჯს გააჩნია თავისი ვებგვერდი (sba.edu..ge), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას.

დაწესებულებას საერთო ჯამში აქვს 66 კომპიუტერი და 6 კომბაინი, რომლებიც განთავსებულია როგორც ადმინისტრაციის, ასევე სასწავლო აუდიტორიებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებით განსაზღვრულია - მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით და ბიბლიოთეკით სარგებლობისა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის წესი (მუხლი 76-78). ამ წესით დადგენილი პირობებით ყველა სტუდენტს თანაბარი უფლება აქვს ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებითა და ბიბლიოთეკით.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით, მუხლი 76-78;
- კომპიუტერული ტექნიკის განაწილების შესახებ დირექტორის ბრძანებით (4 დეკემბერი-2017);
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის პირადი საქმით;
- ხელშეკრულებით დომეინის და ჰოსტინგის შესყიდვის შესახებ;
- ხელშეკრულებით სააქციო საზოგადოებასთან "გლობალ ერთი";
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვარიელებით.

<u>ქვესტანდარტი 2.4 არ არის დარღვეული</u>

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ 2016 წლის 26 დეკემბერს.

დაწესებულება იყენებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს (evet.emis.ge) და საქმისწარმოების, როგორც მყარ, ასევე ელექტრონულ ჟურნალს. ინფორმაციის დაცულობის მიზნით დაწესებულებას დოკუმენტები გადაყვანილი აქვს ელექტრონულ ფორმატში და განთავსებულია ცეცხლგამძლე ოთახში.

ექსპერტების მიერ ადგილზე დათვალიერდა ბაზაში არსებული გასული და შემოსული კორესპონდენციები, რომლებიც წესების სრული დაცვით არის შესრულებული.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

დაწესებულებაში იწარმოება დუკემენტაციის აღრიცხვის ჟურნალები: გასული და შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის, ხლშეკრულებების აღრიცხვის, ოქმების, ბრძანებების, სამუშაო შეხვედრების, საკვალიფიკაციო კომისიის სხდომების ოქმების ჟურნალები და სხვა. რომლებიც დანომრილია, აკინძულია და დამუშავებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

რეესტრის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით ევალება პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს, რომლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დებულებაში და დამტკიცებულია დირექტორის 2012 წლის 23 ივლისის N085 ბრძანებით.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით;
- საქმისწარმოების სპეციალისტის პირადი საქმით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დებულებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით.

<u>ქვესტანდარტი 2.5 არ არის დარღვეული</u>

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

კოლეჯში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია. დაწესებულებაში პერმანენტულად, წელიწადში ორჯერ ტარდება უსაფრთხოების ევაკუაციის იმიტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და საგანგებო შტაბი, გაწერილია შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები და საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა.

დაწესებულებამ ჩაატარა შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება(გამოკვლევა). იგეგმება უსაფრთხოების სისტემის სახანძრო სიგნალიზაციის დამონტაჟება.

დაწესებულების ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები (9) და გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. კოლეჯს გააჩნია ვიდეო სათვალთვალო სისტემა (8 გარე კამერა). წესრიგის დაცვისთვის კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დარაჯის 3 საშტატო ერთეული, დარაჯი 24 საათის განმავლობაში პასუხისმგებელია შენობის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე სამუშაო ცვლის ჩაბარებიდან სამუშაო ცვლის გადაბარებამდე.

პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად კოლეჯის პირველ სართულზე გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საშუალებებით. ექიმის მიერ იწარმოება - ჩანაწერების რვეული სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, თითოეული პირის ანკეტა, სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის და დასუფთავების მონიტორინგის ჟურნალი, პირველადი მიმართვების ჟურნალი. ექიმის მიერ შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და გაწერილია სემინარების ორგანიზება (დაკბენის საწინააღმდეგო, შიდსის საწინააღმდეგო, მოწევის პირველადი გადაუდებელი დახმარების საწინააღმდეგო სემინარები). წლების განმავლობაში დაწსებულების თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში სახანძრო-სამაშველო, პირველადი სამედიცინო დახმარების და სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს მედიკამენტები და მათი ვადები. კოლეჯის საშტატო განრიგის თანახმად გათვალისწინებულია ექიმის და მედდის თანამდებობა, რომლის ფუნქციებიც გაწერილია თანამშრომელთა სამსახურეობრივ ინსტრუქციებში.

შემუშავებულია სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის და დასუფთავების წესი, შემუშავებულია სველი წერტილების დასუფთავების გრაფიკი და მონიტორინგის ჟურნალი.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმით";
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დებულებით, მუხლები 9, 11;
- ევაკუაციის იმიტირებული პროცედურების ჩატარების ოქმებით;
- ინვენტარის ფლობისა და გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ექიმისა და მედდის დაცვის ინსპექტორების პირადი საქმეებით (მორიგეობის გრაფიკები, ინსპექტირების აქტები);
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული და აკადემიის დირექტორის 2014 წლის 6 ოქტომბრის N147 ბრძანებით;
- დამტკიცებული ევაკუაციის გეგმებით;
- სათვალთვალო სისტემით;
- სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესით;
- ინვოისებით;
- სველი წერტილების დასუფთავების გრაფიკით.

<u>ქვესტანდარტი 2.6 არ არის დარღვეული</u>

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

შეფასება:

შპს საქაფრთველოს ბიზნესის აკადემიაში შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. კოლეჯში შესასვლელად და სართულებზე ასასვლელად დამონტაჟებულია პანდუსები, სსსმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილი. სსსმ პირებს შეეძლებათ ჰქონდეთ წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან, ბიბლიოთეკასთან, ლაბორატორიებთან და კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

კოლეჯში სმენადაქვეითებული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო მასალები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ კომუნიკაცია სმენადაქვეითებულ ადამიანებთან. მიზნობრივი ჯგუფის საჭიროების გათვალისწინებით, აკადემიაში შექმნილია საშაბათო სკოლა, სადაც ხორციელდება ვებ-დიზაინის სასერტიფიკატო პროგრამა.

გაფორმმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს უსინათლოთა კავშირთან, რომელიც სპეციალური აპარატურით აღჭურვილ სტუდიაში უზრუნველყოფს სასწავლო და მხატვრული მასალების ჩაწერას აუდიო მატარებლებზე. დაწესებულებას საქართველოს უსინათლოთა კავშირის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

გადმოეცა სპეციალური პროგრამა - ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმა. ამ პერიოდისთვის სასწავლებელში არ სწავლობს არც ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი.

დასტურდება:

- უსინათლოთა კავშირის მიერ გადმოცემული პროგრამით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით, მუხლი 75;
- ჟესტური ენის სპეციალისტის პირადი საქმით;
- უსინათლო პირთათვის აუდიო აღწარმოების პროგრამით.

<u>ქვესტანდარტი 2.7 არ არის დარღვეული</u>

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

შეფასება:

კოლეჯს გააჩნია თავისი ვებ-გვერდი (sba.edu..ge), რომელიც სრულად ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, აკადემიის ისტორია, მარეგულირებელი აქტები, სამოქმედო გეგმები, ფინანსური ანგარიშები, საბაკალავრო, პროფესიული, სასერტიფიკო პროგრამები, სტუდენტური თვითმმართველობა და ა.შ.

დაწესებულებას ვებ-გვერდზე განთავსებულ კატალოგში აღნიშნულია, რომ იგეგმება 2 საგანმანათლებლო პროგრამის, ტურიზმის (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი) და ფინანსების (საფინანსო სერვისები) დამატება. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

.

დასტურდება:

- ვებ-გვერდით (sba.edu..ge);
- ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ინფორმაციის დაცულობის დამადასტურებელი სერტიფიკატით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით.

<u>ქვესტანდარტი 2.8 არ არის დარღვეული</u>

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუქცია, რომლის მიზანია გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლებზე დაყრდნობით დაწესებულება უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებასა და განვითარების პროცესს.

აკადემიის დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის g^5 ქვეპუნქტისა და აკადემიის სენატის 2017 წლის 16 ნოემბრის N04 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე დამტკიცებულია 2017-2023 წლის სტრატეგიული, 2017-2020 და 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმები.

სამოქმედო გეგმების შემუშავება ხორციელდება განვლილი სამუშაოს ანალიზის საფუძველზე.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას და ითვალისწინებს ორგანიზაციული და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, ინფრასტრუქტურის, საბაკალავრო და პროფესიული სწავლების ხარისხის, პროფორიენტაციის და სოციალური პარტნიორობის გაუმჯობესების სამუშაოების ჩატარებას. სტრატეგიული განვითრების გეგმაში განსაზღვრულია დაგეგმილი აქტივობები და შესრულების პერიოდი პასუხისმგებელი პირების მითითებით.

აკადემიის მიერ შემუშავებულ განვითარების გრძელვადიან (შვიდწლიანი) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში გაწერილია ასევე, თუ რის გაკეთებას გეგმავს დაწესებულება სამომავლოდ, **საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით.**

ეს ღონისძიებებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

შრომის ბაზარზე ორიენტირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის/დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; სასწავლო კურსების, მოდულების უცხოურ ენაზე სწავლების დანერგვა/გაძლიერება; ანალიზის გაკეთება სასწავლო კურსების/მოდულების სწავლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირების მიზნით; სასწავლო კურსების/მოდულების სწავლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ინტეგრირება/მეთოდური მითითებების შემუშავება; აკადემიური პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების გაძლიერება; SBA-ს ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ორგანიზება; სტუდენტების ჩართვა აქტიურ კვლევით საქმიანობაში; უცხოელი პარტნიორების ონლაინ რეჟიმში ლექცია - სემინარების დანერგვის უზრუნველყოფა; საბაკალავრო პროგრამების ანალიზი და აქტუალიზაცია; საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ანალიზი; საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალების შემუშავება; აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის მიზნით; საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება; ელექტრონულ რესურსებზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფა (ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა ან არსებულ პორტალზე განთავსება; მომხმარებლის სასწავლო/საბიბლიოთეკო მომსახურების პროცესთან დაკავშირებული პრეტენზიების მართვის უზრუნველყოფა; ელექტრონული შეფასების პროცესის დანერგვა;

რაც შეეხება სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს, აკადემია გეგმავს შემდეგ აქტივობებს: სტუდენტთა პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების (სემინარი, საჯარო ლექციები, პროფესიონალთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიება, სასწავლო ვიზიტი, პროექტი და სხვ.) განხორციელების უზრუნველყოფას; გასვლითი სემინარების/ შემეცნებითი ტურების განხორციელებას; ჯანმრთელი ცხოვრების წესისთვის ხელშეწყობას, სპორტული ღონისძიებების/თემატური ღონისძიებების მოწყობა-განხორციელებას; სტუდენტთა მოტივირების, შეღავათისა და დახმარების მექანიზმების შემუშავებას; გამორჩეული აკადემიური მოსწრების სტუდენტების წახალისების მექანიზმების შემუშავებას; უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მოზიდვას; კურსდამთავრებულთა პერიოდული გამოკითხვის ინსტრუმენტის შემუშავებას; კარიერის განვითარების/დაგეგმვის შესაძლებლობის უზრუნველყოფას და ა.შ.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუქციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმით;
- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმით;
- 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით.

<u>ქვესტანდარტი 2.9 არ არის დარღვეული</u>

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

საქართველოს ბიზნეს აკადემია - SBA აპირებს „ტურიზმის (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის)“ მეხუთე საფეხურის და „ფინანსების (საფინანსო სერვისების)“ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების განხორციელებას.

თვითოეულის ჩარჩოში წარმოდგენილია მასწავლებელთა სია შესასწავლი მოდულების მიხედვით. ასევე, საქართველოს ბიზნეს აკადემიის -SBA -ს წესდებაში გაწერილია პერსონალის დანიშვნის წესი, სადაც ზუსტადაა გაწერილი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებაში არსებობს პროფესიული განათლებლის მასწავლებლის და მენტორი მასწავლებლის თანამდებობები. ასევე საქართველოს ბიზნეს აკადემიას -SBA-ს მოაზრებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მოწვეული სპეციალისტების მიერ .

გადამოწმებულ იქნა თითოეულის პირადი საქმე, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით -პერსონალის დანიშვნის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეებით;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით.

<u>ქვესტანდარტი 3.1 არ არის დარღვეული</u>

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

შეფასება:

თითოეული პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ პოზიციას.

„ტურიზმის (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის)" მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით კოლეჯი გეგმავს სტუდენტთა მიღება გამოაცხადოს 60 ადგილზე. პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა რაოდენობაა-13;

„ფინანსების (საფინანსო სერვისების)" მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით კოლეჯი გეგმავს 50 სტუდენტის მიღებას. პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთა რაოდენობაა-15;

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით - პერსონალის დანიშვნის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით (პროგრამა „ტურიზმი";
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით (პროგრამა „ფინანსები");
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმებით (ზოგადი მოდულები).

<u>ქვესტანდარტი 3.2 არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

დღეისათვის აკადემია ახორციელებს 2 საბაკალავრო, ქართულ და ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას „ ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულებით, რომელშიც 240 კრედიტიდან ზოგადსავალდებულო კომპონენტებისთვის გათვალისწინებულია 34, ხოლო მიმართულების სავალდებულო კომპონენტებისთვის 126 კრედიტი. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულია თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტის მოცულობით და 3 დამატებითი პროგრამა ფინანსებში, მენეჯმენტსა და საგადასახადო-საბაჟო საქმეში, თითოეული 60 კრედიტის მოცულობით. ამ პროგრამების განხორციელებაში ჩართულია: 2 პროფესორი; 13 ასოცირებული პროფესორი; 4 ასისტენტ პროფესორი და 37 მოწვეული ლექტორი. აღნიშნულ პროფესორთაგან 2 ასოცირებული, 1 ასისტენტ-პროფესორი და 6 მოწვეული ლექტორი ახორციელებს როგორც საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებულ, ასევე პროფესიული პროგრამების ზოგადი მოდულით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს. დღეისათვის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებზე სულ 45 ხოლო პროფესიულ პროგრამებზე 101 აქტიური სტუდენტი სწავლობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლექტორთა აღნიშნული რაოდენობა სრულიად საკმარისია როგორც საბაკალავრო, ასევე პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად. სამომავლოდ, სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, აკადემიას შერჩეული ჰყავს სათადარიგო ლექტორებიც, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში უპრობლემოდ ჩართავს სასწავლო პროცესში.

დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს და დაწესებულების მიერ დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას **მხედველობაში მიიღება:**

1. A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
2. B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში მიიღება პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სპეციალიზებულ სახელოსნოებში, ღია სივრცეში. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოყოფილი A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში, დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა;

4. B სასწავლო გარემოში სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმოცმაგი რაოდენობა;

5. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის განაცხადში.

ამ კრიტერიუმებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით, აკადემიის მიერ დადგენილი ფორმულით ხდება როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა.

ამგვარად, ზემოაღნიშნული დაგეგმვის საფუძველზე, აკადემიას შესაძლებლობა აქვს ახალ პროფესიულ პროგრამებზე მიიღოს 110 (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი -50 და საფინანსო სერვისები-60), პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით - პერსონალის დანიშვნის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით (პროგრამა „ტურიზმი";
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით (პროგრამა „ფინანსები");
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმებით (ზოგადი მოდულები).

<u>ქვესტანდარტი 3.3. არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასება:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში პროფესიული განათლების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება დაინიშნოს რექტორის ბრძანებით ან აყვანილ იქნას მომსახურების ხელშეკრულებით, პირადი განცხადებისა და ხარისხის მართვის სამსახურის ვიზირების საფუძველზე, რითაც სამსახური ადასტურებს პირის შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. შესაძლოა ამ თანამდებობის დასაკავებლად რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით. საჯაროდ ცხადდება კონკურსი საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელთა მიერ, აკადემიურ თანამდებობათა დაკავების შემთხვევაშიც.

წესდების თანახმად შემუშავებულია პერსონალის დანიშვნის წესი.

დაწესებულებას განმახორციელებლებთან გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულებები, რომელთაც ახლავს 2 დანართი. პირველ დანართში ჩამოთვლილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და კომპონენტები, ხოლო მეორე დანართი გულისხმობს შეთანხმებას სასწავლო კურსის/მოდულის განხორციელების შესახებ, რომელიც განმარტავს, რომ ანაზღაურება ხორციელდება სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდში, ყოველი სრული და არასრული კალენდარული თვის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ჩატარებული საათების პროპორციულად.

დასტურდება:

- საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის წესდებიდან ამონარიდით - პერსონალის დანიშვნის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით (პროგრამა „ტურიზმი“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით (პროგრამა „ფინანსები“);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმებით (ზოგადი მოდულები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

<u>ქვესტანდარტი 3.4. არ არის დარღვეული</u>

N	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია (კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ტურიზმი	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112023	115	145	ქართული	60	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22
2	ფინანსები	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	55	70	ქართული	50	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22

კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში არ იქმნება საბაკალავრო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებასთან

დაკავშირებით

IV. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 26.01.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.